საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული საგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/7065
21/07/2017

7065-09-2-201707211537

საქართველოს სტრატეგიული და განვითარების
ცენტრის პროგრამის კოორდინატორს
ვახტანგ კობალაძეს,

ბატონო ვახტანგ,

გაცნობებთ, რომ თქვენი 2017 წლის 7 ივლისის წერილის (10439) საფუძველზე, რომელიც ეხებოდა ჰიპერმარკეტ „კარფურში“ შეძენილ შპს. “ვასაძის პური“-ის და შპს. „ჯორჯია ბეიკერსი“-ის მიერ წარმოებულ ვაფლსა და „პეჩენიაში“ ლაბორატორიულად დადგენილი ორგანოლეპტიკური მახასიათებლების დაღვევებს, თბილისის საქალაქო სამსახურის უფლებამოსილი პირების მიერ, ზემოთ აღნიშნულ ობიექტებში განხორციელდა არაგეგმური ინსპექტირება, ორივე ბიზნესოპერატორთან გამოვლინდა 8 არაკრიტიკული შეუსაბამობა.

კერძოდ შპს. „ჯორჯიან ბეიკერსი“-ის კუთვნილ საწარმოს ყველა უბანზე არ არის სათანადო სისუფთავე, ნედლეულის შესანახი საწყობის კედლები და ძირითადი საამქროს ჭერი ნაწილობრივ დაზიანებულია და არ ექვემდებარება საჭიროების შემთხვევაში სრულყოფილ რეცხვა/დეზინფიცირებას. საწარმო უზრუნველყოფილი არ არის ადეკვატური განათებით.

შპს. „ვასაძის პური“-ის კუთვნილი საწარმოს შესასვლელები საჭიროებს დეზობარიერების მოწყობას, ლუხუმების დასამზადებელ საამქროში სავენტილაციო სისტემა, ფანჯრები და კედლები არ არის სუფთა მდგომარეობაში, მაცივრის თაროები დაზიანებულია, მარგარინი და წარმოებისთვის განკუთვნილი ნედლეული ინახება

ქ. თბილისი 0159, მარშალ გელოვანის გამზ. №6
6 Marshal Gelovani Ave., Tbilisi 0159, Georgia
ტელ/Tel: (+995 32) 91 91 67
ფაქს/Fax: (+995 32) 91 91 65
www.nfa.gov.ge
info@nfa.gov.ge

თავღია მეორადი გამოყენების ყუთებში. პერსონალი სრულყოფილად არ იყენებს სპეცტანსაცმელს (თავსაბურავებს და ხელთათმანებს).

ზემოაღნიშნულ ბიზნესოპერატორებს მიეცა გონივრული ვადა(ერთი თვე) არაკრიტიკული შეუსაბამობების აღმოფხვრისთვის.

პატივისცემით,

გიორგი იაკობაშვილი

სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი